

# ჭიდაობა ჩვენი, ქართული

## გაიმართა 18 სექტემბერს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 181 (7492)

20 სექტემბერი, 1983 წ. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში

## შენ დაუკა!

შესძახა მსაჯმა და ქართული საჭიდაოს ხმაზე წრეში ერთმანეთისკენ ორი ფალავანი გაეშურა...

თითქოს ოქროს შემოდგომის მზის სხივებმა მოთენთაო, ჭიდაობა ჯერ დუნედ დაიწყო, მაგრამ მერე და მერე გახურდა, ხალხიც ბლომად მოვიდა, ერთი სიტყვით, მალე გაჩაღდა ნამდვილი ჭიდაობა, ჩვენი, ქართული!

... ამ დღეებისათვის გიორგიწმინდელები კარგა ხანია ემზადებოდნენ, თავიდანვე გადაწყვიტეს ქართული ჭიდაობის დღეს აქაური მკვიდრის, შესანიშნავი ფალავნის არსენ მეკოკიშვილის პრიზის გათამაშებაც ჩაეტარებინათ. გიორგიწმინდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ჭიდაობა სამბოში ქვეყნის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ბიჭიკო მარიდაშვილი, გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ზაურ სვანიძე საქმიანად დაფაცურდნენ, მერე სხვა აქტივისტებიც შეიშველიეს და ყველაფერი კალაპოტით წავიდა...

არსენ მეკოკიშვილს მთელი ქვეყანა იცნობს. სწორუპოვარ ფალავანს, რომლის ყველა სპორტული ტიტულის ჩამოთვლა ერთობ საძნელო საქმეა, კარგად იცნობენ გიორგიწმინდის, საგარეჯოს, კახეთის, სრულიად საქართველოს ახალგაზრდები, მით უფრო ისინი, ვინც ერთხელ მაინც გასულა საჭიდაო წრეში. ჰოდა, იმ დღეს რომ ძია არსენას პრიზი თამაშდებოდა, ყველამ კარგად დაიხსომა. დაიხსომა და გიორგიწმინდის საჭიდაოსკენ გამოსწია.

— ორი ქულა ხატიაშვილს... წუთსა და ხუთ წამში გაიმარჯვა ხოსიტაშვილმა,... გაიმარჯვა აზაურაშვილმა, — აცხადებს მსაჯი გამარჯვებულთა სახელებს...

უძლიერეს ფალავნებს კი ელის საქართველოს ალკკ საგარეჯოს რაიკომის სიგელები, პრიზები.

... წრეში 6-7 წლის ბიჭუნები გადიან, ძიძგილაობენ, ილეთებსაც კი ატარებენ.



— ორივენი კარგი ბიჭები არიან, -- აცხადებს მსაჯი, დამარცხებული არავინაა...

მართლაც იმ დღეს გიორგიწმინდის საჭიდაოზე დამარცხებული არავინ ყოფილა, გაიმარჯვა კი ყველამ — ფალავნებმაც და მაყურებლებმაც, ჭიდაობის ორგანიზატორებმაც და სტუმრებმაც.

ნასიამოვნებია შეჯიბრების მთავარი მსაჯი სპორტის ოსტატი გიორგი მეკოკიშვილი, სწორუპოვარი ფალავნის — არსენას ვაჟი.

— კარგი ბიჭებია, — ხშირ-ხშირად მეუბნება და თვალებით წყვილებზე მანიშნებს, — მაგარი ბიჭებია, კიდევ და კიდევ აქებს მოჭიდავეებს.

— მართლაც კარგი ბიჭები არიან, — გვიდასტურებს საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძიუდოში ტარიელ ჩუთლაშვილი, — ჩვენ თითქმის ყველას ვიცნობთ, თვალყურს ვადევნებთ მათს ზრდას. ასეთი ღონისძიებები მშვენიერი სკოლაა ჩვენი ახალგაზრდობის ზრდა-დაოსტატებისათვის. აქ მთავარი ის გახლავთ, რომ შეჯიბრება არ ტარდება ვიწრო-უწყებრივად. ეს სახალხო ზეიმია და მისი მნიშვნელობა მეტად ფართოა, მით უფრო, რომ აქ თამაშდება არსენ მეკოკიშვილის პრიზი...

უკვე მესამე საათი მიიწურა შეჯიბრების დაწყებიდან, წყვილი წყვილს ცვლის, ჩემპიონი—ჩემპიონს.

— ორი ქულა ბასილაშვილს, გაიმარჯვა სუხიაშვილმა, — არ ცხრებიან მსაჯები — სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ გოგოლაური, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომარ გულისაშვილი, აგრეთვე ვეტერანი სპორტსმენები: ნ. მარკოზაშვილი, თ. გასუჩაშვილი, ვ. მეკოკიშვილი...

მზე კარგად გადაიწვერა, როდესაც მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა საბოლოო შედეგები, გამოაცხადა გამარჯვებული ფალავნები და გუნდები.

აი ისინიც: 56 კგ. **ლ. ბასილაშვილი**, 60 კგ. **დ. ხატიაშვილი**, 64 კგ. **გ. ხოსიტაშვილი**, 68 კგ. **ს. სუხაშვილი**, 73 კგ. **ი. აზნაურაშვილი**, 79 კგ. **დ. ხოსიტაშვილი**, 87 კგ. **რ. ალვინიშვილი**, მძიმე **ე. მიხელიძე**.

გუნდური პირველი ადგილი ხვდათ საგარეჯოს არასაუწყებო დაცვის წარმომადგენლებს, II — საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლეებს, III —გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობის მოჭიდავეებს.

გამარჯვებულ მძიმეწონისან ფალავანს არსენ მეკოკიშვილის პრიზი გადასცა გიორგი მეკოკიშვილმა.

... ნელნელა დაცარიელდა ნახერხმოყრილი საჭიდაო — თავთავის ოჯახს მიაშურეს 80 წლის პაპა ნიკამ, ამ დღეს მოსულმა უხუცესმა მაყურებელმა, 3 წლის დათო მამამ აისვა მხარზე. კმაყოფილნი ტოვებენ სარბიელს ამ შესანიშნავი დღესასწაულის ორგანიზატორები, საგარეჯოს რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები, სამეურნეო ხელმძღვანელები, სტუმრები.

— კიდევაც დაიზრდებიან, — ვეუბნები მეზობელს.

— მაშ, მაშ!..

ა. ბარქაია,
(„ლელოს" სპეც. კორ.).

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ჭიდაობა ჩვენი, ქართული გიორგიწმინდის სარბიელზე. მძიმე წონაში გამარჯვებულ ე. მიხელიძეს ა. მეკოკიშვილის პრიზს გადასცემს განთქმული ფალავნის ვაჟი გ. მეკოკიშვილი; ასპარეზობის მომენტები.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.





გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

# მიეძღვნა ღირსშესანიშნავ თარიღს

**15-19 სექტემბერს** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით ყაზბეგში ჩატარდა ავტოტურისტთა რალი „საქართველოს ტური-83" და სამთო ტურისტთა ღია შეკრება, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს მიეძღვნა. ამ ღონისძიებამ უაღრესად თბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა და საბჭოთა ხალხების მეგობრობის კიდევ ერთ დემონსტრაციად იქცა. ავტორალში გამოვიდა 24 ეკიპაჟი, ხოლო სამთო ტურისტთა შეკრებაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის 13 გუნდი.

ავტოტურისტთა შორის პირად ჩათვლაში გამარჯვება წილად ხვდა ოდესელთა ეკიპაჟს ვ. ზავადსკის და ფ. გარბერის შემადგენლობით, ხოლო გუნდურ ჩათვლაში ბადალი არ ჰყავდა თბილისის ავტომოყვარულთა კლუბის „ედელვაისის" კოლექტივს.

უფრო მრავალფეროვანი იყო სამთო ტურისტთა შეკრება: მასში მონაწილეები მეკლდეურობაში და წყლიანი დაბრკოლების გადალახვის გარდა ერთმანეთს ტურიზმის სააგიტაციო სტენდების, ფოტოსურათების და ვიმპელების კონკურსშიც ეჯიბრებოდნენ. პირველი ადგილი თბილისის ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს ნაკრებმა მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ამ შეკრების მონაწილე 17-კაციანმა გუნდმა მყინვარწვერი დალაშქრა.

გ. ჩოჩიშვილი,
(„ლელოს" სპეც. კორ.).

•

(ვრცელი მასალა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ გამოქვეყნდება „ლელოს" მორიგ ნომერში).

იხ. მე-2 გვ.

# ჭიდაობა ჩვენი, ქართული





## ზ ე მ ო ხანდაკში

„18 სექტემბერს, ხუთ საათზე ზემო ხანდაკის საჭიდაოზე გაიმართება ქართული ჭიდაობა" — იტყობინებოდა სოფელში გაკრული განცხადებები. აფიშები კასპის რაიონის სხვა სოფლებშიც ვნახეთ.

ნახერხმოყრილ საჭიდაო არენის მომზადებას ადრიანად შესდგომოდნენ ამ საქმის მოთავეები, — ალექსანდრე ქვრივიშვილი და კოლია გოგიაშვილი საჭიდაოზე ელნათურებს კიდებდნენ — ჭიდაობა გვიან ღამემდე გაგრძელდებაო. მართლაც ასე მოხდა. ხუთ საათზე ჯერ პატარა ბიჭებმა დაიწყეს ჭიდაობა, ხალხი ნელ-ნელა მოეძალა საჭიდაო სარბიელს და მალე ლამის მთელი სოფელი აქ შეიკრიბა.

— ძია ლადოს დროს უფრო მეტი ხალისი იყო, — დანანებით ამბობდნენ აქაურები.

დიახ, ამ მშვენიერ სოფელს ჰყავდა ქართულ ჭიდაობაზე უზომოდ შეყვარებული კაცი, ჩვენი ეროვნული ჭიდაობის დიდი პოპულარიზატორი ლადო გოგიბედაშვილი.

ჭიდაობის სარბიელი, ადრე სოფლის ციხის ნანგრევებთან იყო, ახლა ქვემოთ, ჭალაში გადაუტანიათ, იქ, სადაც ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებია.

გვიან ღამემდე უკრავდნენ „საჭიდაოს" მიშა კელაპტრიშვილი, ლევან მაისურაძე და ოთარ გორგაძე. ლევან მაისურაძეს რამდენიმე ათეული წელიწადია დუდუკი არ გაუშვია ხელიდან.

— დავბერდი, შვილო, ძალა გამომელია, ჩვენი შემცვლელი კი ალარავინაა, — გვეუბნება ძველი მედუდუკე.

სიტყვამ მოიტანა და, ამ საქმესაც უნდა მიხედვა. საითაც გაიხედავ, სულ ხანდაზმულები უკრავენ საჭიდაოს. ახალგაზრდებსაც უნდა შევაყვაროთ დუდუკი.

...სანამ სოფლის კაცებთან ქართული ჭიდაობის ავ-კარგზე ვსაუბრობთ, საჭიდაოზე წყვილი წყვილს ცვლის, ნახერხში ამოგანგლული, გაოფლიანებული ბიჭები ხელიხელგადახვეულები გადიან სარბიელიდან. მკვირცხლი ჭიდაობით თანასოფლელებს თავს აწონებენ ზაზა ქვრივიშვილი, ჯაბო ქამხაძე, ნოდარ გორგაძე, ალექსანდრე პაპიაშვილი, მიხეილ კელაპტრიშვილი და სხვები. ზემოხანდაკელებმა კვლავ იხილეს ცერული და სარმა, კისრული და შუაკაური, იხილეს და გაიხარეს.

გ. ბარჯაძე.

● ● ●

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზემო ხანდაკში (ზევით) გამართული ქართული ჭიდაობის ზეიმზე.

## რექტორის სახელობის პრიზზე

**ზეიმით** აღინიშნა ქართული ჭიდაობის დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის სპორტული ტრადიციების შესახებ კარგად მოეხსენება ქართული სპორტის გულშემატკივარს და ჭიდაობის დღის ასეთი ფართო მასშტაბით აღნიშვნაც იმ მიზანს ემსახურება, რომ უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილ, წარსულში სახელოვან სპორტსმენებს ღირსეული ცვლა ჰყავდეს.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ გაშლილ ხალიჩაზე, დოლისა და ზურნის ხმაზე დიდხანს ერკინებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები.

გვესაუბრება უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი პროფესორი **გურამ ლორთქიფანიძე**:

— ქართული ჭიდაობის დღე ჩვენთვის ორმაგად ღირსშესანიშნავი და სასიხარულოა: პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ საფუძველი ეყრება შესანიშნავ ტრადიციას, რაც საშუალებას მოგვცემს გავიხსენოთ და ავალორძინოთ ეროვნული სახეობები, ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ მისი სიყვარული, გარდა ამისა, ევროპის ქვეყნების ყველა უნივერსიტეტის მსგავსად, ამიერიდან ჩვენთანაც გათამაშდება რექტორის სახელობის პრიზი. დღეს ყველა წონით კატეგორიაში 15 წყვილი შეეცილა ერთმანეთს პირველობას, ხოლო აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებული რექტორის პრიზს დაიმსახურებს. ასეთივე პრიზი გათამაშდება სპორტის ყველა სახეობაში.

● ● ●

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ქართული ჭიდაობის დღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მონაწილეთა დაჯილდოება (ქვემოთ, მარცხნივ).

ა. ვაჩიანის ფოტოები.

## ცხინვალის სარბიელზე

ამ დღეს ქარელის, ლენინგორის, ზნაურის, გორის რაიონებისა და მასპინძელთა გუნდების ფალავნები დიდი შემართებით შეეჭიდნენ ერთმანეთს.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ I ადგილი დაიკავეს ქარელის რაიონის სოფელ ღვანის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოიპოვეს სამხრეთ ოსეთის სპორტკომიტეტის სპეციალური ჯილდო; II ადგილზე გავიდნენ ცხინვალის, მესამეზე — ლენინგორის მოჭიდავეები.

აბსოლუტურ წონაში ფალავნობა მოიპოვა დვანელმა ვ. მჭედლიშვილმა. სულ ჭიდაობის დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა ფალავანმა, ასობით მაყურებელმა.

ვ. მელქოევი,
(„ლელოს" კორ.).

## დინამოელთა უპირატესობით

**ქართული** ჭიდაობის დღეს დაუკავშირდა თბილისის პირადგუნდური პირველობა 1964-65 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის, ამ შეჯიბრებაში, რომელიც გასულ კვირას კიროვის სახელობის პარკში გაიმართა, გამარჯვებისთვის 6 გუნდის 62 სპორტსმენი იბრძოდა.

ახალგაზრდა მოჭიდავეების ორთაბრძოლებს მრავალრიცხოვან მაყურებლებთან ერთად თვალს ადევნებდნენ საპატიო სტუმრები — ბ. პაიჭაძე, ვ. ბალავაძე, ლ. თედიაშვილი, გ. სალარაძე, ო. ბლიაძე, გ. როსტიაშვილი, ქ. ნინიაშვილი, გ. კახნიაშვილი, ა. ციბაძე და სხვები.

ფალავნებმა საკმაოდ კარგი მომზადება გამოავლინეს, თუმცა ჯერ კიდევ დიდი გარჯა მართებთ იმისათვის, რომ სრულყოფილად აითვისონ ქართული ჭიდაობის მრავალრიცხოვანი ფანდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით თბილისის ჩემპიონები გახდნენ: გ. ექვთიმიშვილი, შ. დადვანი (ორივე — „დინამო"), ბ. ძიძიკაშვილი (ასკ), რ. გოგიაშვილი („ლოკომოტივი"), ხ. ჯანიბეგაშვილი („დინამო"), გ. ოსიშვილი („განთიადი"), გ. ჩელებაძე (ასკ) და ი. ჯიჩოშვილი („დინამო").

გუნდური პირველობა „დინამომ" მოიპოვა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „განთიადისა" და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლები.

გ. ახალაძე.

## 30—წყვილი

**თბილისის** ვ. კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში კვირას დილიდანვე ახმაურდა დოლი და ზურნა. ნახერხმოყრილ, ჩრდილში მოქცეულ საჭიდაოზე შეჯიბრების მსაჯები — რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონები ქართულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატები ი. ტლაშაძე და გ. ბასიაშვილი ზედიზედ უხმობდნენ ფალავნებს. ამ დღეს სარბიელზე 30-ზე მეტი წყვილი დაეჭიდა ერთმანეთს. ლამაზი ჭიდაობით მაყურებლები მოხიბლეს მ. ღვინიაშვილმა, მ. ბითაძემ, ჯ. კუნდუხაშვილმა, გ. ტყემალაძემ და სხვებმა.

ლენინის რაიონის მოსწავლეთა და მუშა-მოსამსახურეთა ეს ძალთა შეჯიბრება საინტერესოდ ჩატარდა, მაყურებელიც საკმაოდ მოვიდა, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც უნდა გამოვთქვათ: რაიონის სპორტკომიტეტს მომავალში მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს, რათა ასეთი მასობრივი შეჯიბრებები უფრო ორგანიზებულად ჩატარდეს, თანაც ქართული ჭიდაობა მარტო ზეიმის დღეებში კი არა, შაბათ-კვირასაც მოეწყოს.

ა. გიგიაძე.







● ვ. კიკვიძის სახელობის პარკში...



● კიროვის სახელობის პარკის სარბიელზე.

# დაძაბული, სპორტული...

ერევანი. „რაზდანის“ სტადიონი. 18 სექტემბერი.

„არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:0).

„არარატი“: ვასილიევი, კირაკოსიანი, ალ. სარქისიანი, პოლოსიანი, რაფ. გალუსტიანი (რობ. გალუსტიანი), პეტროსიანი, პ. გალუსტიანი, ალ. სარქისიანი, ყახაბოღლიანი, მელიქიანი, მხითარიანი (ოჰანესიანი).

„დინამო“: აბუსერიძე, ჟიბა, (პაიკიძე), ჩივაძე, უკლება, ჩიქოვანი, კაკილაშვილი (ჟვანია), ხვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კოპალეიშვილი, შენგელია.

მსაჯი: ა. ხორლინი (მოსკოვი).

როგორ სპორტულ ფორმაშიც არ უნდა იყვნენ, გათამაშების ცხრილში რა ადგილიც არ უნდა ეჭიროთ, ამ გუნდების მატჩი ყოველთვის დაძაბული, საინტერესო სპორტული ბრძოლით გამოირჩევა.

გამონაკლისი არც ეს შეხვედრა გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ არც „არარატი“ და არც „დინამო“ წლევანდელ საფეხბურთო სეზონში საპრიზო ადგილებისთვის არ იბრძვიან, ამ მატჩის მნახველი ფეხბურთის მოყვარული უთუოდ კმაყოფილი დარჩებოდა: თამაშის საკმაოდ მაღალი ტემპი პირველი წუთიდან მატჩის ბოლომდე არ დაცემულა, მინდორზე ბევრი იყო ლამაზი კომბინაცია, შორიდან მოულოდნელი დარტყმები, თავგანწირული ბრძოლა დაცვაში, მეკარეთა ლამაზი ნახტომები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც ხარობს ფეხბურთის გულშემატკივარი.

თბილისელებს უკვე მატჩის დასაწყისში შეეძლოთ დაწინაურება. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს გუცაევმა, შენგელიამ... და საერთოდ, „დინამომ“ ამ შეხვედრაში იმდენი საგოლე სიტუაცია შექმნა, რომ უკანასკნელ ხანებში ნათამაშევ რამდენიმე მატჩს ეყოფოდა. ქართველი ფეხბურთელები თამაშობდნენ სწრაფად, ფორვარდები და ნახევარმცველები ბევრს მოძრაობდნენ, ხშირად „იხსნებოდნენ“ და ამიტომაც იყო, რომ თითქმის ყოველ სიტუაციაში ბურთის მფლობელ ფეხბურთელს იერიშის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა. ისიც სათქმელია, რომ თბილისელები მეტწილად საუკეთესოს ირჩევდნენ.

69-ე წუთზე პაიკიძე-გუცაევი-კოპალეიშვილის კომბინაცია უკანასკნელის ზუსტი დარტყმითა და გოლით დასრულდა — 1:0.

მასპინძლებმა გოლი 84-ე წუთზე გაქვითეს. თბილისელთა კართან შექმნილ არეულ სიტუაციაში პოლოს გალუსტიანმა იმარჯვა და დამარცხებას გადაარჩინა „არარატი“ —1:1.

ბ. ირემაძე.







როგორც ვიუწყებოდით, 17 სექტემბერს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და უნგრეთის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ფეხბურთის ვეტერანებმა ძეტოქეზე გაცილებით უკეთ ითამაშეს, რაზედაც მეტყველებს ანგარიშიც — 5:1.

სურათებზე: (ზევით, მარცხნიდან) — გარღვევაზეა ს. მეტრეველი; პირველი გოლი სტუმართა კარში; თამაშობს რ. ძოძუაშვილი; უტევს მ. მაჩაიძე; სამახსოვრო სურათი მატჩის შემდეგ.

გ. ახალაძის ფოტოები.

# მეათე ფრე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 18 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:0,

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა, თევზაძე, ბურკაძე, კურტანიძე, თავაძე, კორძაიძე, ვახაძე, მეგრელაძე, გორგილაძე, ჰიაბრიშვილი.

„ნეფთჩი“: კრამარენკო, ლარიბოვი, დროზდოვი, ამიროვი, ხუდიევი, ვახაბ-ზადე, ალექპეროვი, ახმედოვი (ჩერემისოვი), პონომარიოვი, ყურბანოვი, ჯავადოვი.

მსაჯი: ანატოლი კადეტოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია თავაძე.

დუბლიორები — 1:2.

ქუთაისელთაგან გოლი გაიტანა ზაალიშვილმა.

მას შემდეგ, რაც ქუთაისის „ტორპედომ“ საკუთარ მოედანზე წააგო შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან“, პრაქტიკულად დაკარგა უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი. ამის მიუხედავად, მთელი მატჩი ჩატარდა ქუთაისელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით. მათ არაერთხელ შეეძლოთ „ნეფთჩის“ კარის აღება. მასპინძელთა კართან მთელი მატჩის განმავლობაში არ შექმნილა სერიოზული სახიფათო მომენტი. მე-15 წუთზე ჰიაბრიშვილის ძლიერი დარტყმა ოდნავ აცდა მიზანს. 30-ე წუთზე მეგრელაძემ სახიფათოდ ჩააწოდა მარცხენა ფრთიდან და გორგილაძემ პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი კრამარენკოს. 35-ე და 36-ე წუთებზე მეგრელაძემ ზედიზედ დაჰკარგა კარის აღების რეალური შესაძლებლობა. პირველ შემთხვევაში ხუთიოდე მეტრის მანძილიდან ააცილა ბურთი კარს. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მეორე ტაიმშიც მრავლად ჰქონდათ ქუთაისელებს. სახიფათოდ დაარტყეს კარში ჰიაბრიშვილმა, თავაძემ, მეგრელაძემ. ორჯერ ძელმა იხსნა ბაქოელთა კარი. ამრიგად, ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მიმდინარე სეზონში მეათედ დაამთავრეს მატჩი ფრედ.

წლევანდელ სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ შეძლო გუნდის ყოველმხრივ მომზადება. გუნდი ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს ფიზიკური და ტაქტიკური მომზადების მხრივ, მაგრამ ფსიქოლოგიურად სრულიად მოუმზადებელია. ამაზე მეტყველებს ის, რომ „ტორპედომ“ საკუთარ მოედანზე წააგო გადამწყვეტი, პრინციპული თამაშები „ნისტრუსთან“, მოსკოვის „დინამოსთან“, დაჰკარგა ქულა „ნეფთჩისთან“, რითაც დაჰკარგა უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსიც.

ბ. ნამიჭეიშვილი,
(„ლელოს“ კორ.).

## უმაღლესი ლიგა

გუშინ და გუშინწინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, 31-ე ტურის კიდევ 7 კალენდარული შეხვედრა:

„დინამო“ კ. — „ფახთაქორი“ 2:0

„მეტალისტი“ — „ზენიტი“ 1:1

ცსკა — „დინამო“ მ. 0:0

„ჟალგირისი“ — „ნისტრუ“ 5:0

„დინამო“ მნ. — „ჩერნომორეცი“ 3:0

„შახტიორი“ — „დნეპრი“ 1:3

„ტორპედო“ მ. — „სპარტაკი“ 0:2.

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 30 | 19 | 5 | 6 | 55—31 | 43 |
| „სპარტ.“ | 29 | 16 | 8 | 5 | 52—18 | 40 |
| „დინ.“ მნ. | 28 | 14 | 7 | 7 | 43—28 | 35 |
| „ზენიტი“ | 29 | 13 | 9 | 7 | 36—26 | 35 |
| „დინ.“ კ. | 29 | 12 | 9 | 8 | 37—29 | 33 |
| „ფახთ.“ | 29 | 12 | 9 | 8 | 34—26 | 33 |
| „ჟალგირ.“ | 29 | 12 | 9 | 8 | 32—32 | 33 |
| „ტორ.“ მ. | 29 | 11 | 10 | 8 | 32—29 | 32 |
| „შახტ.“ | 29 | 14 | 3 | 12 | 43—33 | 31 |
| ცსკა | 29 | 10 | 10 | 9 | 34—29 | 30 |
| „ჩერნ.“ | 29 | 12 | 5 | 12 | 34—42 | 29 |
| „მეტალ.“ | 29 | 10 | 6 | 13 | 36—39 | 26 |
| „არარ.“ | 29 | 10 | 5 | 14 | 26—40 | 25 |
| „ნეფთჩი“ | 29 | 8 | 9 | 12 | 28—35 | 25 |
| „დინ.“ მ. | 28 | 7 | 10 | 11 | 23—28 | 24 |
| „დინ.“ თბ. | 28 | 7 | 7 | 14 | 37—44 | 21 |
| „ტორ.“ ქ. | 30 | 4 | 10 | 16 | 22—45 | 18 |
| „ნისტრუ“ | 30 | 3 | 3 | 24 | 18—67 | 9 |

## I ლიგა

18 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ შინ შეხვდა კრასნოდარის „ყუბანს“ და ფრედ ითამაშა 2:2.

ტურის სხვა შედეგები: „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:1, „დინამო“ (კიროვი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:1, ასკ (ხაბაროვსკი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:2, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დაუგავა“ (რიგა) 4:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:0, „პამირი“ (დუშანბე) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 4:2, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქაირ“. | 33 | 19 | 9 | 5 | 60—30 | 47 |
| ასკ რ. | 32 | 17 | 11 | 4 | 55—26 | 45 |
| „ფაკ.“ | 33 | 15 | 11 | 7 | 38—21 | 41 |
| „როტ.“ | 32 | 18 | 4 | 10 | 47—33 | 40 |
| „კოლ.“ | 33 | 14 | 12 | 7 | 55—37 | 40 |
| „ყუბ.“ | 33 | 13 | 11 | 9 | 50—36 | 37 |
| ასკ „კ“. | 32 | 13 | 11 | 8 | 37—33 | 37 |
| „მეტალ.“ | 33 | 14 | 8 | 11 | 47—36 | 36 |
| „კუზბასი“ | 33 | 12 | 11 | 10 | 42—39 | 35 |
| „ტავრია“ | 33 | 12 | 9 | 12 | 59—52 | 33 |
| „ზარია“ | 32 | 12 | 9 | 11 | 53—45 | 33 |
| „დაუგავა“ | 32 | 11 | 7 | 14 | 41—50 | 29 |
| „პამირი“ | 32 | 10 | 9 | 13 | 35—45 | 29 |
| „ისკრა“ | 32 | 11 | 6 | 15 | 35—31 | 28 |
| „გურია“ | 32 | 12 | 3 | 17 | 38—63 | 27 |
| „შინიკი“ | 32 | 10 | 7 | 15 | 35—60 | 27 |
| „ლოკ.“ | 32 | 9 | 9 | 14 | 41—39 | 27 |
| „ზვეზდა“ | 32 | 9 | 9 | 14 | 41—46 | 27 |
| „დნეპრი“ | 31 | 8 | 11 | 12 | 32—48 | 27 |
| ასკ ხ. | 33 | 8 | 10 | 15 | 24—41 | 26 |
| „დინ.“ | 33 | 5 | 11 | 17 | 26—47 | 21 |
| „ტექს.“ | 32 | 5 | 10 | 17 | 30—60 | 20 |

## II ლიგა

17 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი, 29-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ტურის შედეგები ასეთია: „დინამო“ (ბათუმი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დილა“ (გორი) 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 3:2, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 4:1, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:2, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:0.

## გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოტაიკი“ | 27 | 14 | 9 | 4 | 60—35 | 37 |
| „მერცხ.“ | 26 | 15 | 3 | 8 | 32—25 | 33 |
| „დინ.“ ბ. | 25 | 14 | 5 | 6 | 45—18 | 33 |
| „კოლ-ჩი“ | 25 | 13 | 5 | 7 | 45—29 | 31 |
| „კოლხეთი“ | 26 | 13 | 5 | 8 | 43—31 | 31 |
| „დილა“ | 27 | 13 | 5 | 9 | 38—32 | 31 |
| „მეშახტე“ | 26 | 13 | 3 | 10 | 39—34 | 29 |
| „ლოკომ.“ | 25 | 12 | 5 | 8 | 34—20 | 29 |
| „ქიაფაზი“ | 27 | 11 | 5 | 11 | 44—44 | 27 |
| „ხაზარი“ | 26 | 9 | 7 | 10 | 34—39 | 25 |
| „შირაკი“ | 25 | 10 | 4 | 11 | 39—36 | 24 |
| „დინ.“ ს. | 26 | 9 | 6 | 11 | 26—37 | 24 |
| „ყარაბ.“ | 25 | 10 | 3 | 12 | 31—30 | 23 |
| „სპარტ.“ | 25 | 8 | 2 | 15 | 31—40 | 18 |
| „ავტომ.“ | 26 | 6 | 5 | 15 | 27—51 | 17 |
| „არაზი“ | 25 | 5 | 4 | 16 | 24—57 | 14 |
| „ოლიმპია“ | 26 | 3 | 6 | 17 | 23—58 | 12 |

## ბულგარელთა ახალი მწვრთნელი

ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ი. ვუცოვი, რომელსაც ევალება გუნდის მომზადება მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისათვის.

## სამეურნეო ანგარიშზე

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ გადაწყვიტა სამეურნეო ანგარიშზე გადაიყვანოს I და II ლიგის ფეხბურთელთა კლუბები. ამიერიდან ამ გუნდების მატერიალური ბაზა განისაზღვრება მხოლოდდამხოლოდ იმ შემოსავლით, რომლებსაც ისინი ბილეთების გაყიდვით მიიღებენ.

## რეკორდი — 186

პოლონეთის საფეხბურთო ჩემპიონატების სნაიპერთა ცხრილში პირველ ადგილს კარგა ხანია ინარჩუნებს 50-იანი წლების ცნობილი თავდამსხმელი ერნესტ პოლი. მან 186 გოლი გაიტანა.

როგორც ვარშავის ჟურნალი „პილკა ნოჟნა“ („ფეხბურთი“) მიიჩნევს, გამორიცხული არაა, რომ ეს შედეგი გააუმჯობესონ იმ ფეხბურთელებმა, რომელთაც დიდი მიღწევები აქვთ ბოლო წლებში. ჟურნალი პირველ რიგში ასახელებს ცნობილ თავდამსხმელს კმიეციკს, რომელმაც 153 გოლი გაიტანა და ფეხბურთისთვის თავის დანებებას ჯერჯერობით არ აპირებს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები




გასულ კვირას რიყეზე გაიმართა დიდი სპორტული ზეიმი, რომელშიც სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სურათებზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ა. ვაჩიანმა გადაიღო, აღბეჭდილია შეჯიბრების მომენტები: ინტერესით ადევნებენ თვალს ბატუტისტთა ასპარეზობას; ნიჩბოსანთა შეჯიბრება მტკვარზე; აქ კი თავი მოუყრიათ ავტოსლალომის მოყვარულებს.

● რეგბი

## გაიმარჯვა „სახლმშენმა"

გასულ კვირას ქუთაისში გაიმართა რეგბისტთა სსრ კავშირის პირველობის მორიგი ტურის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სახლმშენი" და კიევის „ავიატორი".

პირველ ტაიმში ქუთაისელი სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო. ჯერ მე-7 წუთზე გ. ხამაშურიძემ საჯარიმოდან გახსნა ანგარიში, შემდეგ კი, 36-ე წუთზე, მ. ხარშილაძემ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 6:0.

მატჩის მეორე ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრებმა შეძლეს მიეღწიათ გარკვეული წარმატებისათვის, როდესაც ანგარიშში სხვაობა შეამცირეს — 4:6, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ისევ ხამაშურიძემ, ისევ საჯარიმოდან, გაზარდა ანგარიში. 9:4 — ასე დამთავრდა მატჩი.

ლ. ფაჩუაშვილი,
(„ლელოს" კორ.).

## დამარცხდნენ

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე კვირას გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი რეგბიში. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო მოსკოვის „სლავა".

ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს თბილისელებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და დამარცხდნენ ანგარიშით 9:21.

• • •

სურათზე: თამაშის ერთი მომენტი.

მ. ახალაძის ფოტო.



## „რუდე პრავოს" პრიზზე

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „რუდე პრავოს" პრიზის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა მორბენლებმა. შეჯიბრებაში, რომელიც 29-ედ ჩატარდა, 60 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის 45 უცხოელი. მათთან ერთად სტარტზე გამოვიდა „რუდე პრავოს" პრიზის სამგზის მფლობელი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი სტაიერულ დისტანციებზე რბენაში, ფინელი ლასე ვირენი.

11 კმ და 400 მ. დისტანციაზე პირველი იყო მინსკელი ვ. შუმაკოვი — 33.29. ფინიშთან მეორე მივიდა ლ. ტესაჩეკი (ჩეხოსლოვაკია) — 33.30, მესამე — პორტუგალიელი ჟ. პინეირუ — 33.38. **თბილისელი ოლეგ ხტრიჟაკოვი მეცხრე იყო — 33.56.** შეჯიბრების მასპინძლების შემდეგ საბჭოთა მორბენლებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. ვირენი 10 უძლიერეს სპორტსმენს შორისაც ვერ მოხვდა.

ქალებში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრებმა, პირად ჩათვლაში კი საუკეთესო იყო ჩ. მაინელი (გდრ). 2 კმ და 850 მეტრი მან 8.39-ში დაფარა. II-III ადგილებზე გავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები — ვოლგოგრადელები ო. კრენცერი (8.45) და ე. მალიხინა (8.56).

(საქდესი).

## კულაშელთა მიღწევა

„საოცრება-შაშის" პრიზის საკავშირო გათამაშებაში, რომელიც ოდესის ოლქის ქალაქ ბალტაში გაიმართა, 18 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყო სამტრედიის რაიონის დაბა კულაშის კ. მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის გუნდიც. ეს უფლება კულაშელმა პიონერებმა მოიპოვეს გამარჯვებით „საოცრება-შაშის" პრიზის რესპუბლიკურ გათამაშებაში.

კულაშელთა გუნდმა 36 ქულით VII ადგილი დაიკავა. კარგად გამოვიდნენ დავით სანოძე (მეორე დაფა, 13 ქულა, III ადგილი) და ლია ღირდალაძე (მეოთხე დაფა, 10,5 ქულა, V ადგილი). გუნდი მოამზადა ოსტატობის კანდიდატმა ა. გრიგოლიამ, რომელიც მეოთხე წელია ნორჩ მოშაშეებს სამტრედიის პიონერთა სახლში ავარჯიშებს.

ი. ნიკოლეიშვილი.
(„ლელოს" კორ.).

## თასი — ირინა დევინას

ასტრახანი. მხატვრულ ტანვარჯიშში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში გაიმარჯვა ჟუკოვსკელმა ირინა დევინამ. II და III ადგილებზე გავიდნენ ვილნიუსელი დალია კუტკაიტე და კიროველი ელენა დევეტიაროვა. ასტრახანელი გალინა ბელოგლაზოვა მეოთხე იყო.

მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში უძლიერესები იყვნენ დ. კუტკაიტე, ი. დევინა, გ. ბელოგლაზოვა, ე. დევეტიაროვა, ტ. ტიტოვა (სტავროპოლი).

(საქდესი.).

## სხვადასხვა მერიდიანზე

რაბათი. მაროკოს ქალაქ კასაბლანკაში საზეიმოდ დაიხურა ხმელთაშუაზღვის IX სპორტული თამაშები, რომელიც მშვიდობის, მეგობრობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცების დევიზით წარიმართა. თამაშებში მონაწილეობა მიიღო 16 ქვეყნის 2000-ზე მეტმა სპორტსმენმა.

ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს საფრანგეთისა და ესპანეთის სპორტსმენებმა, წარმატებით გამოვიდნენ მაროკოს წარმომადგენლები, რომლებმაც 20 მედალი (მათ შორის 8 ოქროსი) დაისაკუთრეს. მაროკოელმა ფეხბურთელებმა ფინალში დაამარცხეს თურქეთის გუნდი — 3:0.

ხმელთაშუაზღვის მორიგი სპორტული თამაშები ჩატარდება ოთხი წლის შემდეგ სირიაში.

• • •

როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ფინელმა ველოსიპედისტმა კაი ლინდგრენმა, რომელმაც შეუჩერებლივ 1.200 კილომეტრი გაიარა. 45 წლის მარათონელმა ამ მანძილის გავლას 44 საათი და 58 წუთი მოანდომა.

• • •

ხარკოვი. 99 კილომეტრი საათში — ასეთია ახლა ქვეყნის რეკორდი 1000 კგ-მდე წონის ელექტრომობილებისათვის. ახალი მიღწევა ეკუთვნის ხარკოველ იური სტებჩენკოს, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის სარეკორდო-სარბოლო ავტომობილების ლაბორატორიას. „ხადი-21Э", რომლითაც ასპარეზობდა რეკორდსმენი, სტუდენტთა ნამუშევარია.

(საქდესი).

● პანორამა

## იწყება ნახევარფინალები

წლევანდელ საჭადრაკო სეზონს სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ტრადიციული ჩემპიონატები დააგვირგვინებს. მოჭადრაკე ქალთა 43-ე ჩემპიონატის ფინალი 3-29 ნოემბერს ოდესაში გაიმართება, ვაჟთა 51-ე ჩემპიონატისა — 2-28 დეკემბერს ტალინში. ამ ჩემპიონატების მონაწილეთა უმრავლესობა ნახევარფინალურმა ტურნირებმა უნდა დაასახელოს.

შესარჩევი შეჯიბრებები დაიწყება დღეს, 20 სექტემბერს. ქალთა ნახევარფინალებს უმასპინძლებენ ქუთაისი, კიშინიოვი და ვოლგოგრადი, ვაჟებისას — მინსკი, ვოლგოდონსკი, დონის როსტოვი და ირკუტსკი.

საქართველოდან ნახევარფინალებში გამოვლენ: ქალები — საერთაშორისო ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი), ოსტატები ც. ქასოშვილი (გორი), ც. ჭკახაბრიშვილი (თბილისი), ოსტატობის კანდიდატი ჰ. ლაგვილავა (ქუთაისი), ვაჟები — დიდოსტატები თ. გიორგაძე, ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები ე. უბილავა, გ. ზაიჩიკი და ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი (ყველა — თბილისი). ვაჟთა ნახევარფინალში ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე.

შესარჩევი ტურნირები 14 ოქტომბერს დამთავრდება.

ჩვენს მოჭადრაკე ქალთაგან ფინალში პერსონალურად მიიწვიეს მ. ჩიბურდანიძე, სსრ კავშირის 1982 წლის ჩემპიონი ნ. იოსელიანი, ნ. ალექსანდრია, ნ. გაფრინდაშვილი და ნ. გურიელი.

პანორამა

● ფრენბურთი

წარმატებით აიღეს სტარტი ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა და ვაჟებმა. წინასწარი შეხვედრების პირველ ტურში ქალებმა დაამარცხეს რუმინელები 3:1, ხოლო ვაჟებმა ჰოლანდიის ნაკრები — 3:0. ქალთა 12 გუნდის შეხვედრები ტარდება შვერინში, კოტბუსსა და როსტოკში, ხოლო ვაჟთა 14 გუნდი თამაშობს ბერლინში, ერფურტსა და ზულში.

● კალათბურთი

შაბათ-კვირას ბუდაპეშტში გაიმართა კალათბურთელ ქალთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები. შაბათს საბჭოთა კალათბურთელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს უნგრეთის გუნდი — 103:69 (62:36). მეორე ნახევარფინალში ბულგარელებმა სძლიეს იუგოსლავიელებს — 72:62 (36:33).

კვირას გაიმართა ფინალური შეხვედრა. **საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ბულგარეთის გუნდი — 91:70 (41:36) და მეჩვიდმეტედ მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლები.** მესამე ადგილისათვის ბრძოლაში უნგრელებმა დაამარცხეს იუგოსლავიელები და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 22 სექტემბერს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07768